სამშპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მექანიზაციის ქ.№ 1-ში (ს/კ 01.12.12.002.001), დაპროექტებულ მრავალფუნქციური სახურავზე ფიჭური კავშირის საკომუნიკაციო ანძების მოწყობის თაობაზე

ქ. თბილისში, მექნიზაციის ქ. №1-ში (ს/კ 01.12.12.002.001), დაპროექტებული მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა შედგება 19 მიწისზედა და 1 მიწიქვეშა სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ^2.;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2.

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს 1.2 მ სისქის საძირკვლის მონოლითური ფილა.

საძირკვლის მონოლითური ფილა დაფუძნებულია ხელოვნურ ფუძეზე - ხრეშ-კენჭნაროვან ბალიშზე სისქით 1.5 მ., რომლის ქვემოთაც განთავსებულია (ფენა №3), კენჭნარი, საშუალო და წვრილი ფრაქციის კენჭნარი, დია ყვითელი ქვიშის შემავსებლით საანგარიშო წინაღობით Ro=4.5კძ/სმ^2

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი.

სარდაფის კედლები – რკინაბეტონის მონოლითური, სისქით 30 სმ.

მონოლითური სვეტები – კვეთით (50X80, 50X70, 50X60, 50X50) სმ;

რიგელები – კვეთით (40X60, 50X60, 20X60, 40X40) სმ.

დიაფრაგმები – სისქით 20 სმ.

შენობის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია ძირითადად რკინაბეტონის მონოლითური ფილებით, სისქით 20 და 18 სმ.

კიბის კონსტრუქცია – რკინაბეტონის მონოლითური.

კარკასის შევსება წვრილი ბლოკით, სისქით 20 სმ.

შენობის ბოლო 2 გადახურვაზე კერძოდ ნიშნულ 61.81 ეწყობა 7 ცალი საკომუნიკაციო ანძა, ხოლო ნიშნულ 65.20-ზე 2 ცალი.

საკომუნიკაციო ანძების ფუძის დიამეტრი ტოლია 1.5 მეტრის, ხოლო სიმაღლე შეადგენს 6.0 მეტრს. ანძის წონა ტოლია 250-300 კილოგრამის.

ანძის ფუძეზე მოსული დატვირთვა ტოლია 300 : (1.5X1.5) = 133.3 კილოგრამს, რაც ბევრად ნაკლებია შენობის კომპიუტერულ გაანგარიშებაში გათვალისწინებულ დატვირთვაზე (სახურავის გადახურვებისათვის მუდმივი დატვირთვა ტოლია 400 კილოგრამის).

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანძების დამონტაჟების შემდეგ, შენობის მდგრადობა როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულად ცალსახად იქნება უზრუნველყოფილი.

ექსპერტი – საკონსტრუქტორო
განყოფილების მთავარი სპეციალისტი გ. რეხვიაშვილი

17.08.2024 წ.